



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 05

2020 წელი 31 მარტი

ქ. ბაღდათი

12.30 საათი

2020 წლის 31 მარტს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყემელაშვილი, მურადი ბურჯანაძე, მამუკა გორგოძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, კობა მშვილდაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გაბრიელ ლიბრაძე, გურამი ჩხეიძე, შადიმან გორგოძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მათა კბილაშვილი, თემურ მინაძე, თეონა ფახურიძე.

საკრებულოს წევრები: სულ 20 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ალექსი ლომინაშვილი, გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, შალვა დათუაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, რუსუდან გეჭაძე, ვავა ზივზივაძე, გრიგოლ ტაბეშაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ გოგსაძე

ალექსანდრე გოგსაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მარეხი მშვენთერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ „საგანგებო მდგომარეობის პერიოდში აუცილებელი გახდა სხდომის მოწვევა, რადგან საჭირო გახდა აუცილებელი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება“.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 წევრმა, დაესწრო 20 საკრებულოს წევრი. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარეხი მშვენიერაძე-მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. ალექსანდრე გოგსაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, რუსთაველის ქუჩაზე 30.11.32.094 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონების ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფერსათის წყალმომარაგების სისტემის (ს/კ30.12.36.410 და ს/კ 30.00.093) ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები საკრებულოს წევრებს გააცნო ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა, სხდომას გააცნო გურამ კვიციანი-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 6 31.03.2020 წ. (დადგენილება თან ერთვის)
მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0 ;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს 19-მა წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს : 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოადგინა **ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა, სხდომას გააცნო გურამ კიკნაველიძემ-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში განხილული იქნეს საკრებულოს 31 მარტის სხდომაზე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 8 31.03.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს 20-მა წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს : 3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილებაში შესატანი ცვლილების შესახებ ისაუბრა **მარეხი მშვენიერაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ ცვლილება ითვალისწინებდა მედიკამენტებით დახმარების წესში ცვლილებას, ნაცვლად ერთჯერადად დახმარებისა , მომართვიანობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, მეორედაც გაეწიოს ამ სახის დახმარება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტიურად მცხოვრებ მოქალაქეებს..

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო: **საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა**

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 7 31.03.2020 წ. (დადგენილება თან ერთვის)
მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0 ;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 19-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

წარმოდგენილი პროექტების ნუსხა საკრებულოს წევრებს გააცნო: **მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა ალექსანდრე გოგსაძემ.**

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო **სიმონ ჭოლოკავამ**, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 9 31.03.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, რუსთაველის ქუჩაზე 30.11.32.094 საკადასტრო კოდეზს მდებარე უძრავი ქონების ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა **მირიან ფულარიანმა** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო **სიმონ ჭოლოკავამ**, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 10 31.03.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფერსათის წყალმომარაგების სისტემის (ს/კ30.12.36.410 და ს/კ 30.00.093) ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

განკარგულების პროექტი წარმოადგინა **მირიან ფულარიანმა** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 11 31.03.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს: 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 12 31.03.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს: 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 13 31.03.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე